სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
99002209424421

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება
რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი
N210251416

რეგისტრაციის თარიღი
22.03.2021 წ

ნოტარიუსი: თამილა გოგატიშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, პეკინის გამზირი 8, II სართული
ტელეფონი: 599 33 55 77, 032 233 55 77

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათას ოცდაერთი წლის ოცდაორ მარტს მე, საქართველოს ნოტარიუსს თამილა გოგატიშვილს ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე პეკინის 8, II სართული, მომმართა **ტატო მიროტაძემ,** რომელმაც მოითხოვა მინდობილობის ტექსტის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მისი პირადობა და ქმედუნარიანობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **ტატო მიროტაძემ (დაბადებული 08.03.1992წელს, პირადი # 01008051070, მისამართი: ქალაქი თბილისი, ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა, N 78, ბინა 123) მომმართა.**

მე შევადგინე მინდობილობის ტექსტი, წავუკითხე მხარეს. მან მოიწონა მინდობილობის შინაარსი და პირადად ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი შემდეგი შინაარსის მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ოცდაერთი წლის ოცდაორ მარტს მე, ტატო მიროტაძე, ამ მინდობილობით უფლებას ვაძლევ **დარეჯან ახვლედიანს (დაბადებული:** 02.12.1964წელს, **პირადი # 31001012947)** მასზედ, რათა მან ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში მოახდინოს ჩემს საკუთრებაში არსებული უძრავ ქონებაზე **მდებარე: მცხეთა, სოფელი დიღომი, ს/კ # 01.72.14.032.981,** მდებარე მიწის ნაკვეთზე სამშნებლოდ გამოყენების პირობების დადგენა, შეათანხმოს არქიტექტურული პროექტი და მოიპოვოს მშენებლობის ნებართვა, **შეათანხმოს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტერიტორიის გამოყენების და განაშენიანების რეგულირების გეგმა, რაზედაც იყოს** ჩემი წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებაში, ნებისმიერი რაიონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში, ქ.თბილისის მერიის მუნიციპალიტეტში, საკრებულოში, ნებისმიერი ქალაქის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, ნებისმიერ მერიის მუნიციპალიტეტის მუნიციპალურ ინსპექციაში, ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სამსახურში და სხვა საქალაქო სამსახურებში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, ნებისმიერი რაიონის გამგეობაში, საკრებულოში, უძრავი ქონების მარეგისტრირებელ ორგანოში, სანოტარო ბიუროში, შემოსავლების სამსახურში, იუსტიციის სახლში (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტო, სამეწარმეო რეესტრი, არქივი) მოახდინოს ფართის კორექტირება, სტატუსის შეცვლა და შესაბამისად ახალი რეგისტრაცია, ასევე იყოს ჩემი წარმომადგენელი ისტორიულ არქივში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, სსიპ ქონების მართვის სააგენტოში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, საკუთრების აღიარების კომისიაში, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტროს მიწის მართვის სამსახურში, აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოადგინოს აზომვითი ნახაზი, პროექტის შედგენისას ჩაატაროს აზომვითი სამუშაოები, მიიღოს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება, მოამზადოს სამშენებლო პროექტი, მოახდინოს ცვლილებები შეთანხმებულ პროექტში, შეათანხმოს საპროექტო დოკუმენტაცია მერიის შესაბამის სამსახურებთან, მათ შორის ნებართვის მოსაპოვებლად საკრებულოში, მერიის ურბანული დაგეგმარების და არქიტექტურის სამსახურში, ჩაატაროს სარეკონსტრუქციო სამუშაოები, აიღოს მშენებლობის ნებართვა და აწარმოოს მშენებლობა. გადაავადოს მშენებლობის ნებართვა, გადაავადოს მშენებლობის ნებართვის ვადა, ნებისმიერ ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩაერთოს და წარმოადგინოს ინტერესები მშენებლობასთან/პროექტის შეთანხმებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხებზე. აიღოს ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, გამოასწოროს ნებისმიერი სახის ხარვეზი, შესაბამისად მოახდინოს აქტებში ცვლილებები, შეათანხმოს მიწის ნაკვეთის განაშენიანების პირობა (განაშენიანების რეგულირების გეგმა) მინდობილი პირი ასევე უფლებამოსილია

მოახდინოს ქონების გამიჯვნა, გაყოფა, ლეგალიზაცია, დაკანონება, გაერთიანება, აწარმოოს ყველა გარიგების გაანგარიშება, მოახდინოს უძრავი ქონების რეგისტრაცია, გადაიხადოს მოსაკრებლები და ნებისმიერი გადასახადები, უზრუნველყოს დამტკიცებული პროექტის გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ზედამხედველობა, ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტებს და განსაზღვროს იმ ხელშეკრულებებისა და შეთანხმების პირობები, რაც ამ დავალებების შესრულებასთან იქნება დაკავშირებული **გაყიდვის და იპოთეკით დატვირთვის უფლების გარეშე**. მინდობილი პირი უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია მიმნდობის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის, ამ მინდობილობით მინიჭებული დავალების შესასრულებლად.
მინდობილობა გაცემულია ორი წლის ვადით.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა №507 2011 წლის 29 დეკემბრის სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 31-ე მუხლის 7-ე პუნქტის თანახმად: 11.80 ლარი დღგ-ს ჩათვლით; და 2 ლარი სარეგისტრაციო მოსაკრებელი 39-ე მუხლის თანახმად.

ნოტარიუსი: /თამილა გოგატიშვილი/